



საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION

ჩ. კახიძის #15, თბილისი, საქართველო, 0102 ; ტელ: (995 32) 95 23 53; ფაქსი: (995 32) 92 32 11
ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia. Tel: (995 32) 95 23 53; Fax: (995 32) 92 32 11
E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

№ გ-04/435-13

11.10

2013 წ.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტროს საჯარო ინფორმაციის
გაცემაზე პასუხისმგებელ პირს

განცხადება

(საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე)

როგორც მოგეხსენებათ 2011 წლის 30 ივნისს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და შპს „ტბებს“ შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც შპს „ტბებს“ საკუთრებაში გადაეცა ბორჯომის მუნიციპალიტეტში არსებული ქონება (იხ. დანართი #1).

მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების „3.1.9“ პუნქტის თანახმად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიენიჭა უფლებამოსილება, რომლის თანხმადაც სამინისტროს შეუძლია შპს „ტბებს“ მოსთხოვოს ინფორმაცია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების თაობაზე.

შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავის საფუძველზე, გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი საჯარო ინფორმაცია:

- ისარგებლა, თუ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, შპს „ტბებთან“ 2011 წლის 30 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულების „3.1.9“ პუნქტით მინიჭებული ზემოთ აღნიშნული უფლებამოსილებით? დადებითი პასუხის შემთხვევაში გთხოვთ მოგვაწოდოთ, როგორც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ მომზადებული ყველა შესაბამის დოკუმენტის, ასევე შპს „ტბების“ მიერ წარმოდგენილი ყველა ინფორმაციის ასლი.

პატივისცემით,

ეკატერინე ფოფხაძე

ადმასრულებელი დირექტორი

შემსრულებელი: ს. სალამე